



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვერენჩილაძე რევაზ კასიანეს ძე

კვერენჩილაძე რევაზ კასიანეს ძე (დ. 5. VIII. 1928, სოფ. ხორეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი.

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). 1952-2013 მუშაობდა საქართვე. მწერალთა კავშირში, 1960-2005 იყო მწერალთა კავშირის ბ-კის გამგე. 2013-იდან საქართვე. მწერალთა ეროვნ. აკადემიის წევრია. იკვლევს XX ს. სამწერლო გაერთიანებ-ორგანიზაციების ისტორიას, მწერალთა ცხოვრებისა და რეპრესიების ამსახველ საკითხებს. აქვეყნებდა სტატიებსა და ნარკვევებს ჟურნალ-გაზეთებში, 2001-07 კითხულობდა მოხსენებებს საავტორო „ლიტერატურულ ორშაბათობებზე“.

მწერალთა კავშირის ისტორიას ეხება კ-ის წიგნები: „საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917-1982“ (1983), „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება“ (2008), „ქვიშხეთის ხიბლი“ (2009), „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურები“ (2012). 2010 კ-ს მიენიჭა „ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდება, 2012 – ნ. ნიკოლაძის სახ. პრემია; მიღებული აქვს დავით აღმაშენებლის პრემია (2013) „ქარ-თული მწერლობის მათიანის“ შედგენისათვის.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თბზ.: წამების გზა. ორტომეული, თბ., 1999, 2005, 2014; რეპრესირებული ოჯახის ისტორია, თბ., 2006; საბუთები ღალადებენ, თბ., 2007, 2011; რეპრესირებული პოეზია, თბ., 2013.
